# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— ორშაბათი, 8 მაისი 1900 წ. № 1118

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში


## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 7 მაისს, სპარსეთის საზღვარი გადმოიარა და მოვიდა ჯულფას **სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედინი.** მის უდიდებულესობას მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით გამოგზავნილნი გენერლები—არსენიევი და ქოვკოვიჩი და პოლკოვნიკი ბენგარდი; ერევნის გუბერნატორი გრაფი ტიზენჰაუზენი, გენ.-ლეიტ. ზელენოი და გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე კოხანოვსკი.

✦ სოხუმიდან გვწერენ, რომ იქაური საზოგადოება ძალიან აულაპარაკებია შემდეგს ამბავს: სააღდგომოდ იქიდან საზღვარ-გარედ წასულა ცნობილი სხე-ტყის მწარ. მაქსიმოვის საქმეთა მმართველი იერ. ჟოლკვერი. მისს წასვლის შემდეგ მოახდინეს რევიზია საქმეთა წარმოებისა და კასისა და ამბობენ, კასას რამოდენიმე ათასი მანეთი აკლიაო. ჟოლკვერის უმცროსი ძმა, რომელიც ხსენებულს კანტორაში მსახურებდა, მაშინათვე დაითხოვეს სამსახურიდან. საქმე პროკურორს გადაეცა გამოსაძიებლად. ამ ჟამად ცნობებსა ჰკრეფენ ჟოლკვერის სადმყოფობისას.

✦ კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა და მისსიონერმა ბ-ნმა ევტ. მამინაიშვილმა ხსენებულ საზოგადოების საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღსძრა, რადგან სოფლად და განსაკუთრებით **სვანეთ-ფშავ-ხევსურეთში** ხალხი მეტად გაჭირვებულია უწამლობით, მეტად სასურველია საზოგადოებამ თავისს სკოლებთან პატარა აფთიაქები გახსნასო. აფთიაქები უნდა ებარებოდეს მასწავლებლებს ან ნასწავლს მღვდელს და წამლები ხალხს უსასყიდლოდ მიეცემოდეთ. საბჭომ, განიხილა რა ეს წინადადება, ფრიად მოიწონა და დაადგინა მიჰმართოს კავკასიის საექიმო ნაწილის უფროსს, რათა სათანადო განკარგულება მოახდინოს—ხსენებულს აფთიაქებს წამლები დაეთმოს უფასოდ.

✦ 6 მაისს, დილით, ტფილისის სამაზრო პოლიცია ჩაფრებით და ყაზახებით გარს შემოერტყა კრწანისის ბაღების ზემოთ სამს ავაზაკს. გაიმართა თოფის სროლა, რომლის დროს მოკლეს ორი ავაზაკი. გრიქკურა ოჰანესოვი და მიხ. არუთინოვი; მათი ამხანაგი, დარჩო ბასკალოვი, შეიპყრეს. ამ ავაზაკებმა სამი თავდასხმა და გაძარცვა მოახდინა ბელოკლიუჩის გზაზე. მათი მეოთხე ამხანაგი, არაქელ გასპარიანცი, მდ. ხრამზე დაიჭირა ათის დღის წინად პოლიციამ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**6 მაისი**

**მოსკოვი.** ყველა ტაძრებში გარდახდილ იქმნა პარაკლისები ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ. ქალაქი მორთულია ბაირაღებით.

**ხარკოვი.** აზნაურის ლესევიცკის სადგომში მოკლულ იქმნა აზნ. ბანტიში. მათ რაღაცაზე წაილაპარაკეს და როდესაც ბანტიშმა წასვლა დააპირა, ლესევიცკიმ ესროლა რევოლვერი და იქვე მოჰკლა. მკვლელი დატუსაღებულია. მოკლული ყველასაგან დიდად პატივცემული კაცი იყო.

**ასტრახანი.** ყირგიზთა ხაზინიდან მოუპარავთ 11.600 მან.; ეჭვი აუღიათ ერთ გამორიცხულ მოხელეზე.

**როსტოვი-დონზე.** გაზ. „პრიაზოვ კრაი“-ს რედაქციაში ყოველ დღე მოდის მრავალი ახალგაზდა კაცი, რომელნიც აცხადებენ სურვილს ბურების საშველად წასვლისას. დღემდის ჩაეწერა 300-ზედ მეტი ვოლონტერი.

**მოსკოვი.** პოლიციამ შეიპყრო მთელი ბრბო ქურდებისა, რომელთაც გაუქურდავთ მრავალი სახლი და წაუღიათ 50.000 მან. ღირებული ქონება.

**პეტერბურგი.** ომსკიდან, ჩერნიგოვიდან, კოვნოდან და ბევრ სხვა ქალაქებიდანაც მოდის ამბები სუვოროვის მოსახსენებლად პანაშვიდების გამართვის შესახებ.

**მასსერუ.** რენდლის დივიზია და ახალშენების ჯარები ბანაკად სდგანან კლოკოლანთან. ხმა არის, რომ ბურების დიდძალი ჯარი, რომელიც ბეთლემისაკენ მიდიოდა, უკანვე დაბრუნდა რენდლის ჯარებთან შესაბრძოლველად. ბურებს განზრაგვა აქვთ დაიწიონ ფიკსბურგისა და ბეთლემისაკენ, სადაც ცუდი ადგილ-მდებარეობაა და სადაც ადვილია ჩასაფრება.

**ვაშინგტონი.** ბურების მისსია მოვიდა აქ გუშინ და ალტაცებით იქმნა მიღებული. მას მიეგება სადგურზე კომიტეტი, ხოლო სასტუმროში—კონგრესის წევრი.

**ბერლინი.** რუსეთის იმპერატორის დაბადების დღის დღესასწაულს რუსეთის ჩაელჩოს ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: რუსეთის ელჩის მეუღლე, საელჩოს მოხელენი, სერბიის ელჩი, იმპერატორის ალექსანდრეს III პოლკის დეპუტაცია და მრავალი რუსი.

**ათინა.** საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ გაემგზავრა გუშინ გერმანიაში.

**ლონდონი.** პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ იქ მოხდა სხდომა აღმასრულებელის საბჭოსი. ამბობენ, ბურებს არა ჰსურთ მადნების დაქცევა. იუწყებიან, რომ ბურებმა დაანგრიეს ტონელი ლენგონსკთან

**ვენა.** რუსეთის იმპერატორის დაბადების დღის დღესასწაულს სელჩოს ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ ელჩი მეუღლითურთ და საელჩოს მოხელენი.

**ფრანცესბადი.** აქ მოვიდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრესძე მეუღლითურთ

**მადრიდი.** რუსეთის გემი „ალმა,“ ტრიპოლისაკენ მიმავალი, დაზიანდა გზაში და წაყვანილ იქმნა სეუტას ინგლისის გემის მიერ.

**ვისბადენი.** გუშინ სამეფო თეატრში, გერმანიის იმპერატორმა კეთილი ინება და დიდ-ხანს ესაუბრა რუსეთის ელჩს ოსტნ-საკენს.

**ლორენცო-მარკეზი.** რადგანაც მოსალოდნელია, რომ შეწყვეტილი იქმნება მატარებლების მიმოსვლა დელაგოასა და პრეტორიის შუა, ბურების აგენტები ჰყიდულობენ სურსათ-სანოვაგეს და დაუყონებლივ გზავნიან მას ტრანსვაალში.

პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ ხმა არის, ვითომც ორივე რესპუბლიკების მთავრობათ კვლავ აღუძრავთ კითხვა მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. როგორც ჰფიქრობენ, ომი მალე დასრულდება.

**ლორენცო-მარკეზი.** როგორც იტყობინებიან, უცხო სახელმწიფოთა კონსულები მიდიან პრეტორიიდან ლიდენბურგს.

**პარიზი.** დელკასსემ არაფერი იცის იმის შესახებ, ვითომც

მანიის ტახტის მემკვიდრე პარიზში აპირებდეს წასვლას.

**ტრიესტი.** აქ მოვიდა გემი „ალექსანდრე II", რომელზედაც არის დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. დიდი მთავარი ვენას მიდის.

**პარიზი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული, ჰერცოგი გიორგი ლეიხტენბერგი, რუსეთის ელჩი, მინისტრი დელკასსე, პრეზიდენტის წარმომადგენელი, გენერლები და სხვანი.

**პეტერბურგი.** ქალაქი მორთულია ბაირაღებით; პარაკლისები გარდახდილ იქმნა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში და სასწავლებლებში. ისააკის საკრებულო ტაძარში წირვა შეასრულა მიტროპოლიტმა ანტონმა. საღამოს ქალაქი განათებული იყო. ცარსკოე სელოს, წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი.

**ტანჟერი.** მკვიდრთა შორის, მაროკოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე, ქადაგებენ ომსა და შფოთს. მეამბოხენი გროვდებიან ტაფილეტში. ზოგი ამბობს, მკვიდრნი აპირობენ საფრანგეთის ჯარის ამოწყვეტას, რომელიც იგლისში სდგას; ზოგი კი იმას ამბობს, რომ მეამბოხეთ ჰსურთ ისარგებლონ დიდი ვეზირის გარდაცვალებით, გადააყენონ სულთანი და მის მაგიერ სულთანად აღიარონ მისი ძმა მულეი-მამადი. ალჟირის კორპუსის უფროსს ებრძანა იღონოს ყოველი ღონე საფრანგეთის სამფლობელოს დაცვისათვის.

**ლონდონი.** ბულლერი ოფიციალურად იტყობინება, რომ დაიპყრო ნიუ-კესტლი. 7000 ბურებისაგან, რომელთაც უკან დააწევია ბულლერმა, 1000 კაცი წავიდა, ალბათ, ვაკერსტრომისაკენ, რამდენიმე რაზმიც გადავიდა ორანჟის რესპუბლიკაში; დანარჩენებმა კი დაიწყეს ლენგზონეკისაკენ, სადაც აპირებენ მტერთან შებრძოლებას.

**ნიუ-იორკი.** ბურების მოტრფიალე კომიტეტი ჩამოვიდა აქ და დღეს ბურების მისიასთან ერთად წავიდა ვაშინგტონს.

### პეტერბურგის ბირჟა 5 მაისს.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მ ა ნ ა თ ი | | |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | $98^{7}/_{8}$ | — | — |
| $4^{1}/_{2}$% შინაგაინი სესხი 1893 წ. | — | $100^{3}/_{4}$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | $98^{1}/_{2}$ | — | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 309 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | 264 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 209 |
| $3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | $91^{1}/_{4}$ | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | 88 | — | — |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | $89^{3}/_{4}$ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 102 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . | — | — | $98^{1}/_{8}$ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| $4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა | . | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. | . | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. | . | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბ-ური ფქვილისა | I | ხარ. | 1 გ. | | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | $3^{1}/_{2}$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე ოთხნისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^{1}/_{2}$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

---

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოკზადზე, |
|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. კ. | მ. კ., |
| | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — |
| ქერი . . . . . . . | 1 | — 88 | — 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — 70 | — — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 20 | — — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 60 | — — |
| ხავხვი . . . . | 1 | — 50 | — — |
| თივა . . . . . | 1 | — 60 | — — |
| ბზე . . . . . | 1 | — 28 | — — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი 8ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 » | 25 » |
| № 1—8 » | 50 » | № 5—7 » | — » |
| № 2—8 » | — » | № 6—6 » | 75 » |
| № 3—7 » | 50 » | № 7—6 » | 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. $69^{1}_{2}$ კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალ[illegible]მკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის**, უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომათია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან

საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ანდერსენისა:

# დ ე დ ა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.

გამოცემა

**ხაჩინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

---

# ვ ე ქ ი ლ ი

**ა. მ. ახნაზაროვი**

გადავიდა ნიკოლოოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ. 6—8 საათამდის. (10—1)

გამომც. გ. ჟურნა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Мая, 1900 г.; სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.